
საერთაშორისო ლიტერატურული სტანდარტი და თანამედროვე
ქართული პოეზია
International Literary Standard and Modern Georgian Poetry

Sopiko Chumburidze

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Gender Issue in the Work of Ana Kalandadze

გენდერული საკითხი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

In Ana Kalandadze's work, it is particularly interesting to observe the relationship between men and women. Both womens' and mens' galleries are diverse. extremely Their portraits are impressive and it is exciting to see the reverence, worship and respect expressed towards them. Anna devoted a lot of space to a mans' face, his chivalrous quality in her work, we can safely say that the work of a female poet shows not only the best qualities of a woman, but also the best of a man.

Keywords: Ana Kalandadze, Gender, Feminizm

საკვანძო სიტყვები: ანა კალანდაძე, გენდერი, ფემინიზმი

ოცდამეერთე საუკუნეში გენდერული კვლევები, როგორც მეცნიერული დისციპლინა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს ლიტერატურის კრიტიკოსებიც განსაკუთრებით ყურადღებას უთმობენ. დღეს, უკვე, ლიტერატურათმცოდნეობაში ჩამოყალიბდა ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკაც, რომელსაც ქალი ავტორები და „ქალური წერა“ აინტერესებს. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში მამაკაცი ავტორები დომინირებდნენ მწერლობაში. მათ მიერ იქმნებოდა ქალთა სახეები და იწერებოდა ქალთა პრობლემების შესახებ. პირველად, მეოცე საუკუნეში ელენ შოუვოლტერმა შემოიტანა გინოკრიტიკის ცნება, და მისი ერთ-ერთი ასპექტი – ქალთა რეპრეზენტაციის კვლევა ლიტერატურაში. შოუვოლტერის მიზედვით: ქალთა ლიტერატურა შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ორხმიანი დისკურსი, რომელიც მოიცავს „დომინანტურ“ და „დახშულ“ ამბავს. ვფიქრობთ, გენდერული პრობლემის კვლევისას საინტერო მასალას გვაძლევს მეოცე საუკუნეში მოღვაწე, ქართული პოეზიის დედოფლად აღიარებული ანა კალანდაძის შემოქმედება. პოეტი ქალის შემოქმედებისადმი ინტერესს კიდევ მეტად აღვივებს ის ფაქტი, რომ მას მოღვაწეობის დაწყება და უმეტესი წლების გატარება საბჭოთა პერიოდში მოუხდა. მკვლევარებისთვის საინტერესოა, როგორ გამოვლინდა ეპოქის რეპრეზენტაციები ქალი პოეტის შემოქმედებაში. ანა კალანდაძის მოსვლა ქართული პოეზიის სამყაროში სრულია ახალი ხმა იყო, მან შეცვალა ქართული რეალობა. აკაკი ბაქრაძე წერდა:

„ანა კალანდაძის პოეტური სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა კითხულობ, შენც სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს ეზიერები... ამ ლექსებმა, ამ ახალგაზრდა ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა... ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება რუტინის წინააღმდეგ, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა“ (ბაქრაძე, 2000, გვ. 132).

კრიტიკოსი შოთა ზოიძე აღნიშნავს, რომ: „*ანა კალანდაძე ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია ქართულ მწერლობაში, რომელსაც ვერავის შეადარებ, მის ლექსებს პარალელს ვერ დაუძებნი, ეს არის თავისთავადობის ნათელი დემონსტრაცია*“ (ზოიძე, 1999, გვ. 15).

მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ ანა გამორჩეული ქალი იყო ჩვენი ქვეყნის რეალობაში. მისი ისტორია გამოირჩეოდა სხვა შემოქმედი ქალების ისტორიისგან. მან აღიარება სიცოცხლეშივე მოიპოვა, ალბათ ეპოქამაც ითამაშა გარკვეული წილი, რადგან სულიერად დაცლილი საზოგადოებას, ნამდვილად სჭირდებოდა „ქალური წერა“, ანაც ამ დროს გამოჩნდა და „მალამოდ“ მოეცხო ჩვენი ქვეყნის სულიერ სამყაროს. შესაბამისად, მას სხვა ქალებისგან განსხვავებით საზოგადოებამ ფართოთ გაულო კარი და შეიყვარა. მას აღმერთებდნენ, ეთაყვანებოდნენ სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

„რეზო ინანაიშვილი წერს, ღვინით გათამამებულმა შევბედე და „ბიბლიიდან წამოსული ქალბატონი“ ვუწედეო. ილია მეორე ასე მიმართავდა: „ჩვენი ოქროს ანა“, მურმან ლებანიძე ლექსებს უძღვნიდა და ეუბნებოდა: „მე მიხარია, რომ შენს დროში, შენს გვერდით ვცხოვრობ და შენთან ერთად საზიარო ვსუნთქავ ჰაერით. ნიკო კეცხოველი წერდა: შენი სიყვარულით, ჩემს ბაღში არჯაკელი ხვიარა მოვაშენეო“ (ჭუმბურიძე, 2014, გვ. 66).

„*პოეტი ქალის ამღლებული, ღვთაებრივი ინტონაციებით მოხიბლულმა ალ. აბაშელმა პოეტის ლექსებს „ღვთაებრივი ზედაშე“, „მშვენიერი ლოცვები“ უწოდა* (სორდია, 2009, გვ. 154).

ანას ამღლებული, ღვთაებრივი ინტონაციებით მოხიბლულმა ალ. აბაშელმა პოეტის ლექსებს „ღვთაებრივი ზედაშე“, „მშვენიერი ლოცვები“ უწოდა.

ეს ყოველივე მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა სიმაღლეზე აიყვანა ანა კალანდაძემ ზოგადად ქალის მნიშვნელობა, თუ ამ დრომდე, ძირითადად, მამაკაცები ქალ შემოქმედებს და საზოგადოების ასპარეზზე გამოსულ ქალებს არაფრად აგდებდნენ ანამ შეცვალა ეს დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის შემდეგ, ქართველი ქალის ფენომენი ასე არავის განუდიდება. მეოცე საუკუნე ნამდვილად „ანას დრო“ იყო.

საინტერესოა ანას პოეზიის თემათა მრავალფეროვნება. უმთავრესი საკითხი შემოქმედებისა, რაღა თქმა უნდა, თავად ქალი და მისი განცდებია. მან დიდი მხატვრული ოსტატობით შექმნა ქალთა სახეების უკვდავი პალიტრა და ქალის იდეალური თვისებები გვიჩვენა. როგორც კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე შენიშნავს: „*ანა კალანდაძის ყოველ ლექსში არის საერთოდ ქალი; მის ლექსებში არის ის, რაც საუკეთესოა ქალში*“ (ჭუმბურიძე 2014, გვ. 36)...

პოეტმა ქალმა რელიგიური მოტივების დახმარებით ქართველი ქალის სიძლიერე საუკეთესოდ გამოხატა ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ ლექსში.

„ლოცულობდა

როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:

არასოდეს!

ცეცხლით სწვავდნენ ტანშემარცვულ დედოფალსა,

უდრეკ იყო დედოფალი“ (კალანდაძე, 1985, გვ. 56).

ანამ ქართველი დედოფალი, როგორც სიძლიერისა და გაუტეხლობის სიმბოლო საუკეთესოდ წარმოგვიდგინა.

ანას ყურადღების მიღმა, არც საქართველოს განმანათლებელი ქალი წმინდა ნინო დარჩენია. თითქმის მთელმა საქართველომ ზეპირად იცის წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც მიზანდასახული, მტკიცე წმინდანი დაგვიხატა, რომელსაც მართალია მშობლის სევდა მონატრებოდა წამიერად, მაგრამ სარწმუნოებისადმი თავდადება და სიმტკიცე მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

„გაეღვიძა, წუთით იგრძნო მშობლის სევდა
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!“
(კალანდაძე, 1985, გვ. 84)

პოეზიის დედოფალმა არც ქალი მეფის ღვაწლი დატოვა უყურადღებოდ, ორიგინალური ხედვით აღგვიწერა ტამარში მომლოცავი თამარ მეფე, რომელიც ხელებაჰყრობილი უფალს საქართველოს გადარჩენას შესთხოვდა.

„– გადმოგვხედე ღვთისმშობელო დედაო
გაგვიმარჯვე ქართველთ მტერთა ზედაო“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 87)

ანა კალანდაძემ ამ ლექსებით კიდევ ერთხელ დაანახა და აგრძნობინა მისი ეპოქის ადამიანებს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვან ნაბიჯებს სწორედ ქალები დგამდნენ (წმინდა ნინო – ერის გამქრისტიანებელი, ქეთევან დედოფალი-სარწმუნოებისათვის თავშეწირული, თამარ მეფე-ერის გამაერთიანებელი).

პოეტი ქალის ყურადღების არეალში მოექცნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ასე ლამაზად და კობხად იეზიდი გოგონას სახეს მამაკაცი პოეტი ვერ დახატავდა. ანამ მხოლოდ საჭირო სიტყვებით დაგვიხატა იეზიდი გოგონას სახე კდემითა და სიმორცხვით გამორჩეული.

„როგორც ია
თავდახრილი ბუჩქის ძირას,
მორცხვი ხარ და
როგორ გშვენის კდემა დიდი..
– თქვი, შავთვალავ,
არაბი ხარ?
– იეზიდი...“ (კალანდაძე, 1985, გვ. 78)

ანას ბოშა ქალი სრულიად განსხვავებულია, თუ მამაკაცი ავტორები ქალს ორი უკიდურესობით ანგელოზად ან ეშმაკად წარმოაჩენდნენ, ანას ბოშა ქალი თავისუფალია, ლალია, ის მამაკაცთა ტრფიალების ობიექტია, მაგრამ ისინი მასთან საწადელს ვერ აღწევენ, ამ ლექსით ანამ ქალის განსხვავებული სახე შექმნა, ასეთ ქალს მხოლოდ ქალი თუ დახავტა და ალბათ ამასაც გულისხმობდა ნოდარ ჩხეიძე როცა წერდა, რომ ანამ საუკეთესოდ წარმოაჩინა ის რაც საუკეთესოა ქალში.

„და რა ქალი?! ხელის გულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი...“

მეზღვაურებს გამომწვევად გვერძს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
-მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!..
(კალანდაძე, 1985, გვ. 53)

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ნათლად წარმოვიდგენთ პორტის სანაპიროზე სტვენით მიმავალ ბოზა ქალს.

„ეს პაწია, სიყვარულის დოსტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოზა ქალი
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე...“
(კალანდაძე, 1985, გვ. 53)

საუკეთესოდ გვიხატავს პოეტი დაირაზე დამკვრელი თათრის ქალის პორტრეტს.

„თათრის გოგონავ დაუკარი შენი დაირა,
წელი ლამაზი შეარხიე ლერწმისნაირა“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 59)

ანა კალანდაძის ლირიკულ შედეგებს ეძღვნება არა მხოლოდ წმინდან ქალებს, ან ეთნიკური უმცირესობის ქალებს, არამედ პოეტს მთელი ციკლი ლექსები აქვს შექმნილი მთიელი ბერდედებისადმი, რომელშიც განსაკუთრებული სითბო და სიყვარული იგრძნობა. განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი

„რასთვის აქებ ქისტებს ბერდედავ?
მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ... ხევსურთა ძვლებით...
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნენ!
– რა ვიცი ღმერთმა მშვიდობა მოგცეს“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 65)

ამ ლექსში არა მარტო ქალის სახე, არამედ მამაკაცთა(ქისტი მამაკაცები) ვაჟკაცობის მიმართ ავტორის დამოკიდებულებაც ჩანს, ამიტომ ეს ლექსი გენდერული კვლევის კუთხით ორმაგად საინტერესოა, რადგან ქალებს შორის დიალოგით იკვეთება მამაკაცების ვაჟკაცობა.

საინტერესოა პოეტის მოერე ლექსიც, რომელიც ასევე ქისტების ვაჟკაცობას ეხება. ლექსში კიდევ ერთხელ გამოჩნდება ანას, როგორც ჰუმანური პოეტის სახე. ალბათ, არავის იმდენი ლექსი არ მიუძღვნია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე რამდენიც ანას

„ვაჟკაცის ფასი...ჩვენც ვიცოდით და
ქისტმაც იცოდა.
(კარგად არჩევდნენ მეტოქეები
გმირსა და ლაჩარს!)“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 33)

როგორც ვხედავთ, პოეტი ისევ ვაჟკაცობის თემის ირგვლივ ტრიალებს, მისთვის ვაჟკაცი ვაჟკაცია და არ აქვს მნიშვნელობა რომელი ეთნიკური წარმომავლობის იქნება ის ქისტი თუ ხევსური.

ამ ლექსში არა მხოლოდ თვითონ ბერდედას ხასიათი ჩანს, არამედ მამაკაცის მიმართ პოეტის დამოკიდებულებაც. საერთოდან ანა კალანდაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით საინტერესოა დაკვ-

ირვება ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მრავალფეროვანია როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა გალერეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ მხარეს არიან თამარ მეფე, ქეთევან წამებული, წმინდა ნინო, მარიამ დედოფალი, მთიელი ბერდებები, ბოშა ქალი, იეზიდო გოგონა, თათრის გოგონა..., მეორე მხარეს – დავით აღმაშენებელი, მეფე ერეკლე, ხვეისბერები, ლუდით შემთვრალი თორღვა, ... უალრესად შთამბეჭდავია მათი პორტრეტები და ამაღლელებელია მათ მიმართ თუ მათ მიერ გამოხატული კრძალვა, თაყვანისცემა, პატივისცემა. ანამ თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო მამაკაცის სახეს, მის რაინდულ თვისებას, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ პოეტი ქალის შემოქმედებაში ნაჩვენებია არა მარტო ქალის საუკეთესო თვისებები, არამედ ის, რაც საუკეთესოა მამაკაცშიც.

გენდერული საკითხის შესწავლის კუთხით ანას შემოქმედებაში ცალკე ციკლად უნდა გამოიყოს სატრფიალო ლექსები. აქ ავტორი არ ერიდება თამამი გრძნობები გამოხატოს სასიყვარულო ობიექტისადმი, რომელიც პოეტისათვის მზის სხივად ქცეულა. ანა მისთვის დამახასიათებელი ქალური ხელწერით რომანტიულად წარმოაჩენს შეყვარებული ქალის გრძნობებს, რომელსაც გული უტირის შეყვარებულთან განშორებისას.

„ვაჟაო, დილის მზის სხივო,
ხან მთებზე ნისლთა დინებავ,
შუაფხოდან რომ მიდიხარ,
გული რად გაგეტირება?“
(კალანდაძე, 1985, გვ. 72)

ერთგან პოეტი ქალი სატრფოს სევდიანობის მიზეზის გარკვევას ცდილობს და მასთან გადმოსვლას სთხოვს. მისთვის შეყვარებულის უბრალო დანახვაც კი დიდი სიხარულის მომნიჭებელია.

„რა დაშავდება?
არც რაი,
გნახავ და... გამეხარდები!“
(კალანდაძე, 1985, გვ. 96)

ამაღლელებელი მაღალმხატვრული ოსტატობით გვიხატავს პოეტი ქალი სატრფოსთან შეხვედრას ბროწეულების თანდასწრებით. ანას სულიერი სამყაროს სისუფთავესა და ამაღლეულობას ბროწეულებიც კი „დაგვიმოწმებენ“ .

„მზაკვარი სხივი როგორ ქირქილებს
ბროწეულებზე:
იმას ჰგონია, აქ განზრახ შეხვდნენ ჩვენი გულები...
ჩქარა წავიდეთ, თორემ სიჩუმით
დაქანცულები
პირს რომ გახსნიან, ალბათ გაგვცემენ
ბროწეულები!“ (კალანდაძე, 1985, გვ. 24)

პირგახსნილი ბროწეულობის სილამაზე შეუძლებელია ამაზე უკეთ აღწერო.

როგორც მისი ერთ-ერთი სამიჯნურო ლექსებიდან ირკვევა პოეტის სასიყვარულო ობიექტი ცოლიანი ყოფილა, ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემეკლი პოეტისთვის ეს ფაქტი დაბრკოლება იყო. ამის დასტურია ლექსში მის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„წამო ჩემთან!
უკაცრავად,
ვერ გაგყვები ცოლიანსა!“
(კალანდაძე, 1985, გვ. 59)

სხვა ლექსში უიმედოდ შეყვარებული ქალი, სატრფოს ხმის გაგონებაზე დანადვლიანებულა, ამ წუხილს პოეტი მაღალმხატვრული ოსტატობით რამდენიმე სიტყვით გადმოგვცემს და სულის სიმებს გვირხევს.

„გული დაიქანცა,
ესმა ხმა, ვითარცა
ხმაი შენი,
ვალნ...
მწადს მოლხენა, არცა!
ვარდი განიძარცვა,
სული...
მგლოვიარე
არნ!“ (კალანდაძე, 1985, გვ. 34)

გრძნობებისაგან დაღლილი მარტოდმყოფი პოეტი თავისი მდგომარეობის გადმოსაცემად ისევ ნაღვლიანად წერს. ის ცხოვრებისეული სირთულეებისაგან და აღმართებისგან დაღლილი საკუთარ თავს ლერწამს შეადარებს ძლიერი ქარი რომ არხევს. ამ მონაკვეთში ავტორი ჰაგიოგრაფი-ისადმის მის სიყვარულსაც წამოიშველებს .

„არ კვნესის, არ მოთქვამს
გული ქვადქცეული:
მარტოკამ ზღაპრული
აღმართი ვძლიე და...
მაგრამ... აღმართებით
ისე ვარ ძლეული,
„ვითარცა ლერწამი
ქართაგან ძლიერთა“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 49)

პოეტი, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა სინანულს მისცემია. ახლა უკვე ქალური მწუხარებით წერს დახშულ გულისთქმაზე, რომლის გამოც საყვარელ ადამიანთან დღეების გატარება ვერ შეძლო, ამაში დამნაშავე კი მისი ჭკუა, რომელსაც ბევრი ქალი არ დაიხმარდა ასეთი სიყვარულის დროს.

„რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...
ზურგს საფუძვას წამოვიგდებდი,
გზას წისქვილისკენ გავლევდი...
პატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 43)

სულის ხოხობივით დალევს საყვარელი ობიექტისადმი მხოლოდ იშვიათ ადამიანებს შუბლი-ათ. ანა ამ მხრივაც გამორჩეული იყო. პორტრეტი ლექსში ეს, ალბათ ცალკე კვლევის საგანია. რადიდი ოსტატობაა საჭირო იმისთვის, რომ ორიოდ ფრაზით, მამაკაცის დაუვიწყარი სახე შექმნა. წავიკითხოთ ანას ეს ლექსი.

ანა გამორჩეული პოეტია, რომელის შემოქმედებაშიც საუკეთესოდ დაიხატა როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა პორტრეტები და გამოიკვეთა ის საკითხი რასაც გენდერულ პრობლემას ვეძახით. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ პოეტი ქალის შემოქმედებაში ნაჩვენებია არა მარტო ქალის საუკეთესო თვისებები, არამედ ის, რაც საუკეთესოა მამაკაცშიც.

ანა კალანდაძის პოეტურ სამყაროში მოგზაურობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნეების მსოფლიოში არსებული ყველაზე პრობლემური და აქტუალური გენდერული საკითხიც კი სულ სხვა სინამდვილითაა დანახული, წარმოდგენილი და გააზრებული პოეზიის დედოფლის შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზოიძე, შ. (1999). ანა კალანდაძის შემოქმედება, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- კალანდაძე, ა. (1985). ლექსები: „თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- სორდია, ლ. (2009). ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჭუმბურიძე, ი. (2014). ღიმილი დედოფალ ანასი, თბილისი: „მერიდიანი“.

References:

- Ch'umburidze, I. (2014). Ghimili dedopal anasi. [Smile of Queen Anna]. Tbilisi: „meridiani“.
- K'alandadze, A. (1985). Leksebi. [Poems]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Sordia, L. (2009). Ana K'alandadzis estet'ik'is sak'itkhebi. [Anna Kalandadze's Aesthetic Issues]. Tbilisi: „Tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- Zoidze, Sh. (1999). Ana K'alandadzis shemokmedeba. [Anna Kalandadze's Works]. Tbilisi: „Tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.